ხელშეკრულება N 352
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 28 დეკემბერი 2018წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტრო** (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით და მეორეს მხრივ,

მიმწოდებელი: შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" საიდენტიფიკაციო კოდი 404391136;

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 34; ტელეფონი: 577 216 216

საბითუმო და კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი: თეონა ონიკაძე

საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22; ა/ა: GE08BG0000000876831002

შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის **CON180000031** სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტისა (საწვავის შესყიდვა გამარჯვებული მიმწოდებლის აგს-ის 15 კმ-ზე მეტი დაშორების შემთხვევაში) და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის 27 დეკემბრის ნებართვა № 18029 -ის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

1.5 „მიმწოდებელი" – შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია", რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2 ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საწვავის შესყიდვა (CPV- 09100000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური (საორიენტაციო) ღირებულება შეადგენს 2061 (ორიათასსამოცდაერთი) ლარს, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე–3[1] პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი განთავისუფლებულია საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულებისაგან, მისი საქმიანი რეპუტაციისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების შესაბამისად, ყოველი თვის განმავლობაში მიწოდებული საწვავის (ბენზინი პრემიუმი „G-Force"-ის ერთი ლიტრის ღირებულება გამოითვლება შემდეგნაირად:

ა) პლასტიკური ბარათების სიტემით მიწოდების შემთხვევაში: თვის განმავლობაში უშუალოდ ჩასხმების მიხედვით, კერძოდ ყოველი კონკრეტული <u>ჩასხმის დღეს</u> არსებულ „სტელას" ფასს გამოაკლებული ფასდაკლება (პრემიუმი „G-Force"-ის შემთხვევაში - მინუს 20 (ოცი) თეთრი). შემდგომ დაითვლება ჩასხმების საშუალო ღირებულება და აღნიშნული ფასით გამოიწერება საბოლოო ანგარიშ - ფაქტურა. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ აღნიშნული 20 (ოცი) თეთრიანი ფასდაკლება მოქმედებს, მხოლოდ 2019 წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეების განმავლონაში;

ბ) ტალონური სისტემით მიწოდების შემთხვევაში: საწვავის (ტალონების) მიწოდების დღეს მიმწოდებლის საცალო სარეალიზაციო ქსელში ერთი ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის პრემიუმი „G-Force"-ის ღირებულებას

გამოკლებული ფასდაკლება – 20 (ოცი) თეთრის ოდენობით, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ აღნიშნული 20 (ოცი) თეთრიანი ფასდაკლება მოქმედებს, მხოლოდ 2019 წლის იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეების განმავლობაში;

3.3 ერთეულის ფასის შეცვლის შემთხვევაში შესაბამისად შეიცვლება ხელშეკრულების ჯამური (საორიენტაციო) ღირებულება.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის (900 (ცხრაასი) ლიტრი G - Force პრემიუმი) მიწოდება ეტაპობრივად, 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით, შემსყიდველის ცალკეული მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) დაუმზადოს და უსასყიდლოდ გადასცეს შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში პლასტიკური ბარათები;

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათებით ან/და ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. საწვავის შემსყიდველისათვის გაცემა (ტალონების გადაცემა ან/და შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩატვირთვა) განხორციელდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესების დაცვით, ეტაპობრივად, 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 მარტის ჩათვლით შემსყიდველის ცალკეული მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 პლასტიკური ბარათების სისტემით საწვავის მიწოდება განხორციელდება შემდეგი წესით:

შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელი თავის ვებ-გვერდზე გაუხსნის შემსყიდველს სპეციალურ ანგარიშს და უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ შეძენილი საწვავის ჩარიცხვას აღნიშნულ ანგარიშზე, პლასტიკურ ბარათებზე საწვავის შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შემდეგ შემსყიდველს უფლება აქვს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს აღნიშნული საწვავის გადანაწილება მის კუთვნილ ერთ ან რამოდენიმე პლასტიკურ ბარათზე ინტერნეტით, მიმწოდებლის ვებ-გვერდის საშუალებით, შემსყიდველის საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის გამოყენებით.

შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე შეკვეთილი საწვავის ჩარიცხვისას მიმწოდებელსა და შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს შორის ფორმდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც ფიქსირდება ანგარიშზე ჩარიცხული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ საწვავი არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავზე გადაცვლას. პლასტიკურ ბარათზე საწვავის ჩატვირთვის შემდეგ, ბარათის დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე.

შემსყიდველის პირველად საიდენტიფიკაციო სახელსა და პაროლს მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტით დალუქული კონვერტით გადასცემს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს და ამავდროულად უტარებს შესაბამის ინსტრუქტაჟს საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შეცვლისა და გამოყენების წესების შესახებ. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშის პირველ გამოყენებამდე და პლასტიკურ ბარათებზე საწვავის გადატანამდე შეცვალოს მიმწოდებლის მიერ გადაცემული პაროლი და შემდგომში გამოიყენოს მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი პაროლი. პირველადი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის შემსყიდველის წარმომადგენლისათვის გადაცემისთანავე ყოველგვარი პასუხისმგებლობა და რისკი საიდენტიფიკაციო სახელისა და პაროლის არასანქციონირებულ გამოყენებაზე, ელექტრონული ანგარიშიდან პლასტიკურ ბარათებზე საწვავის უნებართვო გადატვირთვაზე და სხვა მსგავს შემთხვევებზე, აგრეთვე ამით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებზე, გადადის შემსყიდველზე.

საწვავის გაცემა მოხდება პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა არ განხორციელდება.

პლასტიკური ბარათი ადასტურებს მისი წარმომდგენლის უფლებას ავტოგასამართ სადგურზე მიიღოს ბარათზე ჩატვირთული შესაბამისი საწვავი. პლასტიკური ბარათის დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს, რათა მოხდეს ამ ბარათის ბლოკირება. ამასთანავე, ბლოკირებამდე ბარათების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე ყველანაირი პასუხისმგებლობა და რისკები ეკისრება მხოლოდ შემსყიდველს.

შემსყიდველი ვალდებულია პლასტიკური ბარათი შეინახოს მზისგან, ელექტრული და მაგნიტური ველებისაგან (მობილური ტელეფონი, ტრანსფორმატორი, ტელევიზორი და სხვ.) დაცულ ადგილას, ასევე არ მოახდინოს პლასტიკური ბარათის გაღუნვა. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბარათის დაზიანებაზე. პლასტიკური ბარათის ფიზიკური დაზიანების ან/და დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეიძინოს ახალი ბარათი და ითხოვოს მასზე ბლოკირების შემდეგ არსებული ნაშთების გადატანა. პლასტიკური ბარათის პროგრამულად დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელი უსასყიდლოდ დაუმზადებს შემსყიდველს ახალ პლასტიკურ ბარათს.

5.3 ყოველი მომდევნო თვის 7 რიცხვამდე მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - ,,ენსაფ") წინა თვეში პლასტიკური ბარათების სისტემით ავტოგასამართი სადგურებიდან ფაქტობრივად გაცემული საწვავის რაოდენობის შესაბამისად. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს ,,ენსაფ"-ის დადასტურება. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

5.3.1. კონკრეტული ფასის/ღირებულების დაანგარიშება მოხდება შემდეგი სქემის მიხედვით:
ყოველი თვის დასაწყისსში მიმწოდებელი დაუსვავს შემსყიდველს მოთხოვნილი რაოდენობის/ლიტრაჟის საწვავს ანგარიშზე, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება თვის განმავლობაში უშუალოდ ჩასხმების მიხედვით, კერძოდ ყოველი კონკრეტული <u>ჩასხმის დღეს</u> არსებულ „სტელას" ფასს გამოაკლებული ფასდაკლება. შემდგომ დაითვლება ჩასხმების საშუალო ღირებულება და აღნიშნული ფასით გამოიწერება საბოლოო ანგარიშ - ფაქტურა. აღნიშნული სქემა მოქმედებს, მხოლოდ საწვავის საბარათე სისტემით შესყიდვის შემთხვევაში.

5.4 სატალონო სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით:

შემსყიდველის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის შეკვეთიდან არაუმეტეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით „მხარეები" თანხმდებიან, რომ საწვავის ტალონ(ებ)ი არის ვადიანი და მისი, (ტალონის) გამოყენების ვადა განისაზღვრება კონკრეტულ ტალონზე დატანილი/მითითებული თარიღის შესაბამისად. აქვე „მხარეები" თანხმდებიან, ხოლო „შესმყიდველი" ადასტურებს, რომ საწვავის ტალონზე მითითებული/დატანილი ვადის გასვლის შემდეგ კონკრეტული ტალონი იქნება გამოყენებისათვის უვარგისი, კერძოდ აღნიშნული (ვადაგასული) ტალონის აგს-ზე წარმოდგენის შემთხვევაში „მიმწოდებელი" არ განახორციელებს შესაბამის ტრანზაქციას, რაზედაც მას (შესმყიდველს) არ ექნება რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნა „მიმწოდებლის" მიმართ.

ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს :

- მიმწოდებლის ლოგო წარწერით ,,Gulf";
- ტალონის ნომერი;
- საწვავის სახეობა;
- საწვავის რაოდენობა
- ტალონის გამოყენების ბოლო ვადა/თარიღი.

შემსყიდველისათვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

მიმწოდებელი ვალდებულია ტალონის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული საწვავის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

5.5 ტალონების გადაცემისას მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - ,,ენსაფ") შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს ,,ენსაფ"-ის დადასტურება ,,ენსაფ"-ის გამოწერიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში (,,ენსაფ"-ის გამოწერის დღესვე). შემსყიდველის მიერ ,,ენსაფ"-ის დაუდასტურებლობა არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მისი მხრიდან შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტში მითითებული საწვავის შეძენის ფაქტის უარყოფას და არ ათავისუფლებს მას საწვავის ღირებულების გადახდის ვალდებულებისგან. შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

5.6 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს შესაბამის უფლებამოსილ პირს **შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს აღრიცხვიანობის ქვეგანყოფილების წამყვანი სპეციალისტი მერაბი ობოლაძე (პირადი №60001148626; ტელ.: 595-72-74-85).** წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ამავე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული საწვავის ტალონების მიღება-ჩაბარების აქტების, ასევე 5.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე საწვავის ჩარიცხვის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტების ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან ასევე არის **მერაბი ობოლაძე** და ეს უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს სადავო შემსყიდველის მხრიდან. შემდგომში ამ პირის უფლებამოსილების გაუქმება ან შეზღუდვა იურუდიულ ძალას შეიძენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წერილობით ეცნობება ამის თაობაზე ან თუ მხარეთა შეთანხმებით შესაბამისი ცვლილება შევა წინამდებარე პუნქტში. სხვა პირისათვის ამ უფლებამოსილების მისანიჭებლად ასევე საჭიროა შესაბამისი წერილობითი მინდობილობა ან მხარეთა შეთანხმება.

5.7 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საწვავის ხარისხის კონტროლი. აღნიშნული მიზნით სინჯების აღება, მათი დალუქვა და მხარეთა შორის შეთანხმებულ ლაბორატორიაში მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველისა და მიმწოდებლის წარმომადგენლების მიერ ერთობლივად. თუკი მიწოდებული საწვავი აღმოჩნდება უხარისხო (რაც გულისხმობს საწვავს, რომელიც არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს), რაც დადასტურებული იქნება შესაბამისად უფლებამოსილი (ლიცენზირებული) ორგანოს (ლაბორატორიის) დასკვნით, მიმწოდებელი ვალდებული იქნება შეცვალოს უხარისხო საქონელი ახლით.

5.8 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (მიღება-ჩაბარების აქტი), რომელთა ხელმოწერის და მიმწოდებელზე გადაცემის შემდეგ ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის შემსყიდველს.

5.9 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5.10 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

5.11 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით (ტალონების შემთხვევაში). მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.12 ამ მუხლის 5.6 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

5.13 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

6 ხარისხი

მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების N1 დანართში მითითებულ მაჩვენებლებს და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პლასტიკური ბარათების სისტემით მიწოდების შემთხვევაში: მიმწოდებლის მიერ 5.3 და 5.3.1 პუნქტის შესაბამისად ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

ბ) სატალონო სისტემით მიწოდების შემთხვევაში: ტალონების გადაცემისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.4 **დაფინანსების წყარო:** BP-სთან გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებით მიღებული გრანტი.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლობს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.**

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო სამი შემსყიდველს.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი	შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" საბითუმო და კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი
თია მელაძე	თეონა ონიკაძე

დანართი №1 2018 წლის "28" დეკემბერი №852 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	CPV	რაოდენობა	ერთეულის ფასი 28.12.2018 წლის მდგომარეობით (ლარი)	საერთო საორიენტაციო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები
1	ბენზინი პრემიუმი „G-force"	ლიტრი	09100000	900	2.29	2061.00	ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2019 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით
სულ: ჯამი: (დღგ- ს ჩათვლით)						2061.00	

შემსყიდველი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტის
დირექტორი

თია მელაძე

მიმწოდებელი

შპს „სან პეტროიუმ ჯორჯია"
საბითუმო და კორპორატიული გაყიდვების
დეპარტამენტის უფროსი

თეონა ონიკაძე

SUN PETROLEUM GEORGIA
გაყიდვების დეპარტამენტი
404391136

ნებართვა # 18029

ნებართვის დასახელება	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან
მოკლე აღწერა	საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო
სტატუსი	თანხმობა
დამატებულია	18:17 27/12/2018
სტატუსი მინიჭებულია	18:18 27/12/2018
ტენდერის ნომერი	CON180000031
შესყიდვის ობიექტი	პრემიუმი
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი	შპს "რომპეტროლ საქართველო"
კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი	2,01
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში)	63,71 კმ
არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"
არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა	2,29
მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში)	12 კმ
მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში	232

ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით)	ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ფასისა და მანძილის გათვალისწინებით შემოთავაზებულ იქნა შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ, საბაზრო ფასს აკლდება 0.20 ლარი
თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით)	იანვარი, თებერვალი, მარტი
საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან	900
თქვენი კომენტარი	აღნიშნული მოთხოვნა განსაზღვრულია 1 რაიონზე. ვინაიდან ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შ.პ.ს „რომპეტროლ საქართველო"-სა და ჩვენს მიერ შერჩეული კომპანიის შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს ავტოგასამართი სადგურები ორგანიზაციის ადგილმდებარეობიდან (დაბა ციხისჯვარი) დაშორებულია შემდეგი მანძილებით: 1.ქ. ხაშურში - რომპეტროლი. - 63,71 კმ; დაბა ბაკურიანში - გალფი - 12კმ.

MIA 7 18 03113177

26/12/2018

შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორს
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ თია მელაძეს

ქალბატონო თია,

მოგახსენებთ, რომ შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დაფინანსების წყაროა გრანტი.

საწვავის ლიმიტის 2019 წლის შესყიდვის ერთიან კონსოლიდირებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,რომპეტროლ საქართველო"-მ.

შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ციხისჯვრის განყოფილების და ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს წალკის განყოფილების დისლოკაციის ადგილებზე არ არის შპს ,,რომპეტროლ საქართველო"-ს საწვავის გასამართი სადგურები, რის გამოც დიზელის საწვავის მიწოდება ხორციელდება სითხის სახით . დაბა ციხისჯვრიდან შპს,,რომპეტროლ საქართველო"-ს გასამართი სადგური მდებარეობს ქ.ხაშურში და მანძილი შეადგენს 63,71 კმ-ს , ქ. წალკიდან შპს,,რომპეტროლ საქართველო"-ს გასამართი სადგური მდებარეობს გარდაბნის რ-ნ ,სოფელ კუმისში და მანძილი შეადგენს 79,89 კმ-ს.

შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ციხისჯვრის განყოფილების ერთი წლის ბენზინის საწვავის ლიმიტი შეადგენს -3600 ლიტრს . შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სამმართველოს ციხისჯვრის განყოფილების ახლო მდებარეა შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (დაბა ბაკურიანი 12 კმ) საწვავის გასამართი სადგური .

შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს წალკის განყოფილების ერთი წლის ლიმიტი შეადგენს - 2400 ლიტრ ბენზინის საწვავს. შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს წალკის განყოფილების ახლო მდებარეა ქ.წალკაში ს.ს. ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" -ს (0,5 კმ) საწვავის გასამართი სადგური.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, გთხოვთ თვენს შუამდგომლობას სატენდერო კომისიამ დაგვრთოს ნება შევისყიდოთ სამი თვის სამყოფი ბენზინის საწვავი შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯია"-საგან 900 ლიტრი და ს.ს. ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-საგან 600 ლიტრი ბენზინი პრემიუმი .

დანართი:5 (ხუთი) ფაილი.

სტრატეგიული მილსადენების დაცვის
დეპარტამენტის დირექტორი
პოლიციის პოლკოვნიკი
ზურაბ ჭაბაშვილი

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია

გალფ ოილ ინტერნეშენალის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი : BAGAGE22

ანგარიშის ნომერი : GE08BG0000000876831002

თიბისი ბანკი

ბანკის კოდი : TBCBGE22

ანგარიშის ნომერი : GE37TB7538836020100007

ს/კ 404391136 თბილისი, ჭავჭავაძის#34